

საქართველო **საქართველო**

#2 (17) 2014



საქართველო **Сакартвело**

სარჩევი

ЗМІСТ

ზამთარი ჩვენი მღელვარებისა	5	ЗИМА НАШОГО ХВИЛЮВАННЯ
უკრაინელი დევნილი ბავშვები საქართველოში	13	УКРАЇНСЬКІ ДІТИ БІЖЕНЦІ В ГРУЗІЇ
როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა?	16	КОЛИ БУЛА СТВОРЕНА ГРУЗИНСЬКА ПИСЕМНІСТЬ?
ქართული კულტურის V ფესტივალი	22	V ФЕСТИВАЛЬ ГРУЗИНСЬКОЇ КУЛЬТУРИ
პეტრიკივკა - უკრაინის სულიერება	24	ПЕТРИКІВКА - ДУША УКРАЇНИ
«დანისპირებით გაფოთლილ ბაღში»	27	«САД БОЖЕСТВЕННИХ ПІСЕНЬ»
ქართული კვირეული უკრაინაში	29	ГРУЗИНСЬКИЙ ТИЖДЕНЬ В УКРАЇНІ
ემიგრანტის დღიურები	32	ЩОДЕННИКИ ЕМІГРАНТА
«ჩვენები. უკრაინა + საქართველო»	36	«СВОЇ. УКРАЇНА + ГРУЗІЯ»
საქართველოს ზამთრის კურორტები	38	ЗИМОВІ КУРОРТИ ГРУЗІЇ
კიევი - ქუთაისი - ბავშვობა	40	КИЇВ - КУТАЇСІ - ДИТИНСТВО

მოგესალმებით, ძვირფასო მკითხველო!

მიუხედავად უამრავი წინაღმდეგობისა, შევძელით კიდევ ერთხელ შეგხვედროდით ჟურნალ „საქართველოს“ ფურცლებზე და თქვენთვის ჩვენი გულისტკივილი თუ სიხარული გაგვეზიარებინა.

უკრაინასა და საქართველოს შორის ტრადიციული კეთილი ურთიერთობების ეჭვქვეშ დაყენების უფლება ცალკეულ უპასუხისმგებლო პირებს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, არ უნდა მიეცეთ. ეს ჩვენი ერებისათვის ნამდვილ ტრაგედიად იქცევა! ჩვენი ძალა ერთობასა და თანადგომაშია, კვლავაც ერთად უნდა გავუმკლავდეთ გარეშე მტერს — მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენი სუვერენული უფლების, დამოუკიდებლობის, შენარჩუნებას.

დღესდღეობით უკრაინაცა და საქართველოც დიდი გამოწვევის, დიდი საშიშროების წინაშე დგანან. რეალობა ძალზე რთულია. დროა არჩევანი გავაკეთოთ. ეს არჩევანი — ჩვენი ქვეყნების, ჩვენი ხალხის, ჩვენი შვილების მომავალზე უნდა იყოს მიმართული, გათვლილი.

ჩვენს მეორე სამშობლოში, უკრაინაში, განვითარებული დრამატიზმით აღსავსე მოვლენების მიუხედავად, შევძელით არაერთი მაღალგემოვნებიანი კულტურული ღონისძიების გამართვა, რომლებშიც გარდა ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის აღსაზრდელებისა, უკრაინელმა ახალგაზრდებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მინდა დიდი მადლობა მოვახსენო უკრაინის კულტურის სამინისტროს იმისათვის, რომ ამ სიდუხჭირეში გამოჩნაბა თანხა კონკურსზე წარდგენილი ჩვენი ორი პროექტის — ახალი ქართული კინოს მე-10 ფესტივალისა და ჟურნალ „საქართველოს“ წინამდებარე ნომრის — ნაწილობრივი დაფინანსებისათვის.

პატივისცემით,

ბესიკ შამუგია

სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ პრეზიდენტი



Вітаємо, дорогий читачу!

Незважаючи на безліч перешкод, ми змогли ще раз зустрітися з вами на сторінках журналу «Сакартвело» та поділитись із вами своєю печаллю чи радістю.

Ми повинні не дозволяти піддавати сумніву традиційно добрі відносини між Україною та Грузією через окремих невідповідальних осіб, ким би вони не були. Це стане справжньою трагедією для наших націй! Наша сила в єдності та взаємній підтримці! У майбутньому ми також повинні протистояти зовнішньому ворогу. Лише так ми зможемо зберегти наше суверенне право - свободу.

На сьогоднішній день Україна та Грузія перебувають у великій небезпеці. Реальність вкрай складна. Час зробити вибір. Цей вибір повинен бути розрахований та орієнтований на майбутнє наших країн, наших народів, наших дітей.

Незважаючи на переповнений драматизмом період історії нашої другої батьківщини – України, ми змогли провести не одну культурну подію на високому рівні. До того ж, в них взяла участь, окрім вихованців нашого культурно-просвітницького центру, українська молодь.

Дякуємо Міністерству культури України, що незважаючи на труднощі, були частково профінансовані два проекти, представлені на конкурс: 10-ий Фестиваль нового грузинського кіно та цей номер журналу «Сакартвело».

З повагою,

Бесік Шамугія

Президент Всеукраїнського суспільного об’єднання «Георгія»

გამთარი ჩვენი მღელვარებისა ჴИМА НАШОГО ХВИЛЮВАННЯ

რედაქციისაგან:

ცნობილმა ქართველმა პოეტმა, მთარგმნელმა, მეცნიერმა და დიპლომატმა რაულ ჩილაჩავამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა შეგვცვინა. წიგნი, რომლის სახელწოდებაა „მაიდანზე, ეკლესიის ახლოს...“, წელს გამოიცა თბილისურ გამოცემლობა „კოლორში“. მასში თავმოყრილია დღიურები, წერილები და ინტერვიუები, რომლებსაც მწერალი 205 დღის განმავლობაში — 2013 წლის 21 ნოემბრიდან 2014 წლის 7 ივლისამდე წერდა და აქვეყნებდა.

წიგნში ასახულია მწერლის თვალით დანახული უკრაინის ისტორიის მეტად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, დრამატული პერიოდი. განხილულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ე.წ. „ღირსების რევოლუციას“ რომ უძღოდა წინ და საინტერესოდაა გადმოცემული უკრაინელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ავტორის თანხმობით, გთავაზობთ წიგნის წინასიტყვაობას. იმედი გვაქვს, მას გატაცებით წაიკითხავს და შესაბამისადაც შეაფასებს უკრაინის უახლესი ისტორიით დაინტერესებული მკითხველი.

უცნაური ხალხია უკრაინელები! ყველა მისი უდიდესი მტერი საკუთარი სიკვდილით მოკვდა.

ივან ღრაჩი

საინფორმაციო ომში ყოველთვის აგებს ის, ვინც სიმართლეს ამბობს. იგი შებნუღულია სიმართლით, ცრუპენტელას კი ყველაფერი შეუძლია თქვას.

რობერტ შეკლი

ეს წიგნი, რომლის ჟანრიც პირობითად განვსაზღვრე როგორც „ქრონიკა–რეპორტაჟი“, მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა და მკითხველს ამას პირველი სტრიქონებიდანვე შენიშნავს. 205 დღის მანძილზე მე მღელვარებით ვაკვირდებოდი და გულთან ახლოს მიმქონდა ყველაფერი, რაც ხდებოდა არა მარტო კიევის შუაგულ მაიდანზე, არამედ მის გარშემოც. განვიცდიდი და ვფიქრობდი, სანამდე შეეძლო მიეყვანა ერთთავად აფორიაქებული ქვეყანა ხალხის უსაზღვრო მრისხანებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ტოვებდა ზომიერების ნაპირებს. ჩემი ქრონიკები თუ ინტერვიუები, რომლებსაც სხვადასხვა გამოცემას ვაძლევდი, მხოლოდ მცირედენი ფრაგმენტებია იმ უზარმაზარი და ფერადოვანი პანოსი, რომელსაც უკრაინელი ერი შეუდრეკელი კოლექტიური ხელით ხატავდა როგორც დედაქალაქში, ასევე პერიფერიებშიც. ბუნებრივია, ბევრგან სრულიად სუბიექტური ვარ, ბევრგან, ალბათ, ვცდები კიდევ, მაგრამ ფაქტებთან ერთად ეს ნაწყვეტ–ნაწყვეტი თხრობა ჩემი განცდების, ემოციების გულისცემის კარდიოგრამაც არის და უნებლიე შეცდომების გამამართლებელ საბუთადაც ეს მიმაჩნია. ამ დღიურების წერისას დღე და ღამე ჩემთვის ისე

Від редакції:

Відомий грузинський поет, перекладач, науковець та дипломат Рауль Чілачава подарував нам ще одне значне видання. Книга, назва якої «На майдані, біля церкви...», в цьому році була видана в Тбіліському видавництві «Колор». В ній зібрано щоденники, листи та інтерв'ю, які письменник писав та оприлюднював протягом 205 днів – з 21 листопада 2013 року по 7 липня 2014 року. В книзі зображено найтяжчий, повний протистояння, драматичний період в історії України, побачений очима письменника. Розглянуті процеси, які передували так званій «революції гідності» та цікаво подана віддана боротьба українського народу за незалежність та свободу. Зі згоди автора, пропонуємо Вам передмову книги. Сподіваємось її із захопленням прочитає та дасть високу оцінку, зацікавлений новітньою історією України, читач.

Дивний народ українці! Усі його найбільші вороги померли власною смертю
Іван Драч

В інформаційній війні завжди програє той, хто каже правду. Він обмежений правдою, а брехун може сказати все.
Роберт Шеклі

Ця книга, жанр якої я умовно визначив, як «хроніка–репортаж», ... написана по гарячих слідах подій, що читач помітить це вже із перших рядків/сторінок. Протягом 205 днів я із хвилюванням спостерігав та брав близько до серця все те, що відбувалось не тільки на Майдані в центрі Києва, а й навколо нього. Я хвилювався та думав, до чого міг призвести збентежену країну безкрайній людській гнів, який все більше віддалявся від меж поміркованості. Мої хроніки або інтерв'ю, які я надавав різним виданням, це була тільки мала частка, фрагмент того величезного та різнобарвного панно, яке малювала українська нація непохитною колективною рукою як в столиці, так і на периферії. Звичайно, в багатьох моментах я цілком суб'єктивний, подекуди, напевно, помиляюсь, але разом з фактами мій переривчастий переказ є кардіограмою мого серцебиття, моїх почуттів, емоцій, а також вважаю його виправданим документом ненавмисних помилок. Під час написання цих щоденників день й ніч для мене зрівнялись



გაერთილონდა, რომ არც მოვლენათა ღრმა ანალიზის დრო მქონდა და არც ფაქიზ სტილზე ზრუნვის საშუალება. თქვენ აქ ალაგ-ალაგ ნახავთ ურთიერთგამორიცხავ მტკიცებებსაც, ცხელ გულზე გამოთქმულ და არც თუ გასაზიარებელ მოსაზრებებსაც, შეამჩნევთ, რომ არ ახდა ჩემი ზოგიერთი პროგნოზი თუ ეჭვი, მაგრამ რადგან არასოდეს მიცდია საკუთარი თავი განსაკუთრებულ სტრატეგიად წარმომეჩინა, ტექსტები დადგენილი ფაქტების შესაბამისად არ მისწორებია და ყველაფერს ვაქვეყნებ ისე, როგორც თავიდან დავეწერე. ვინ იცის, იქნებ სულაც ეს იყოს ამ გამოცემის ღირსება. როცა დღიურების წერა თითქმის დასრულებული მქონდა, აღმოჩნდა რომ მაინდით მიღებულ შთაბეჭდილებებს ასევე ინიშნავდა ჩემი უფროსი ვაჟი რაულიც. ბევრი მათგანი მე მომეჩვენა ჩემი ტექსტების ერთგვარ გაგრძელებად და მათი გამოყენების ნებართვა ვთხოვე. ვინძლო არც მკითხველისთვის იყოს უინტერესო ახალგაზრდა კაცის თვალსაზრისი, რომელიც ჩემგან განსხვავებით აქ დაიბადა, გაიზარდა და ბევრ რამეს თავისებურად ხედავს და აფასებს. სხვათაშორის, მაიდანს მხურვალედ გულშემატკივრობდა რაულის უმცროსი ძმა თემურიც. ათასობით კიეველთან ერთად მომიტინგეებს ისინი ამარაგებდნენ მდიკამენტებით, სურსათ-სანოვავით, ხოლო როცა გრუშევსკის ქუჩაზე საბურავები დასჭირდათ, საბურავებითაც. ამ წიგნის შემქნაში თემურსაც მიუძღვის წვლილი: ივია მისი დამკაბადონებელი და დიზაინერი. ჩემი უკრაინაში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების ჟამს აქ ოთხი ეპოქალური ამბავი მოხდა და ყველა მათგანი მეტნაკლებად შეეხო ჩემს პირად ბიოგრაფიასაც. ჯერ იყო ჩერნობილის

так, що не було часу ані для глибокого аналізу подій, ані можливості турбуватись про вишуканий стиль. Ви подекуди побачите взаємовиключні докази, висловлені зопалу/в серцях, не зовсім слушні для поширення мої думки. Також ви помітите, що не справдились деякі мої прогнози чи підозри, але оскільки я ніколи не намагався показати себе винятковим стратегом, тексти згідно із встановленими фактами, не виправляв та оприлюднюю все так, як написав на початку. Хто знає, може це і є перевагою цього видання. Коли я майже завершив писати щоденники, виявилось, що враження, отримані від майдану також описав мій старший син Рауль. Багато з них мені здалися своєрідним продовженням моїх текстів та я попросив дозволу на їх використання. Ймовірно, для читача буде цікавою думка молодого чоловіка, який на відміну від мене, народився тут, виріс та багато чого бачить та оцінює по своєму. Між іншим, майдан палко підтримував молодший брат Рауля Тімур. Разом з тисячами Киян вони забезпечували мітингувальників медикаментами, продуктами, а коли знадобились шини на вул. Грушевського й ними. Тімур також вніс свій вклад у створення цієї книги: він є її верстальником та дизайнером. За моє майже півстолітнє життя в Україні тут відбулись чотири епохальні події, які більш-менш торкнулись моєї особистої біографії. Спершу була Чорнобильська трагедія, яка зробила нещасними людей та сколихнула світ своїм небаченим

ტრაგედია, რომელმაც ასი ათასობით ადამიანი გააუბედურა და მსოფლიო შესძრა თავისი არნახული მასშტაბით. მას მოჰყვა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, საბჭოთა კავშირის დანგრევა და სუვერენული უკრაინული სახელმწიფოს აღმოცენება. მისი არსებობის მეცამეტე წლისთავზე იფეთქა ე.წ. „ნარინჯოვანმა რევოლუციამ“, რომელმაც ქუჩა უკრაინული პოლიტიკის უმთავრეს მოქმედ ძალად აქცია და თანდათანობით აზავებულ ევრომაიდანში გადაიზარდა! უწინ მე, როგორც პატიოსანი ცოლშვილიანი მამაკაცი ოჯახის დანგრევის შიშით ცდილობს არ შეუყვარდეს უცხო ქალი, ვცდილობდი, ბოლომდე არ შემეყარებოდა აქაურობა, მეშინოდა, ვაითუ გულმა ორი ქვეყანა ვერ დაიტოოს–თქო. ყოველივე კარგს თუ ცუდს, რასაც აქ ვნახავდი, გავიგონებდი ან წავიკითხავდი, ქართულთან ვადარებდი, საპირწონეს ვუძებნიდი. მიკვირდა იმ ქართველების, შვილები რომ ადგილობრივებს მოანათვლინეს, აგარაკები კიევის მახლობლად აიშენეს. როცა მწერალთა კავშირი ნაკვეთებს გვირიგებდა, მე უარი ვთქვი, რადგან მეგონა, იგი უცხო მიწასთან მიმბაზმდა, საქართველოს უფრო დამაშორებდა. და, აი, უკრაინას ომი დაემუქრა. თუმცა დაემუქრა რომელია, უკრაინაში ნამდვილი ომი დაიწყო. და მე ჩერნობილის შემდეგ პირველად და საბოლოოდ ვიწამე, რომ ეს მიწა, ეს ქალაქი, ეს ხალხი ჩემთვისაც ღვიძლი ღვიძლთაგანია და მისი უბედურება ჩემი უბედურებაც არის. თუმცა აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ამ თვეების მანძილზე, როცა ასე გაიწელა „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა,“ მკაფიოდ გამოიკვეთა ქართველთა და უკრაინელთა ერთობლივი მტრის შემზარავი სახე, რომელიც დაუნდობლად გვიტეხს გემებით, ტანკებით, თვითმფრინავებით, გვისევეს ქილერებს, ტერორისტებს, ყაჩაღებს. ამის მერე რა გასაკვირია, რომ უკრაინელთა უმეტესობა ელტვოდეს ცივილიზებულ ევროპას და ევროატლანტიკური ალიანსის მძლავრი ფარი ეგულებოდეს ეროვნული ხსნისა და დემოკრატიული განვითარების გარანტად. უმეტესობა–მეთქი, დავეწრე, რადგან მოსახლეობის (ეს ის შემთხვევაა, როცა სწორედ მოსახლეობაზეა საუბარი და არა ერზე, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მაღალი და კონკრეტული ცნებაა) გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეუნიშნავს ყოველი მათგანის თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილი. დიდი კინორეჟისორი ალექსანდრე დოვენკო ჩიოდა, უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საკუთარ ისტორიას არ ასწავლიანო. ეს მართლაც ასე იყო და ჩვენ ახლა გხედავთ კიდევ, რა ხეირი მოიტანა დამპყრობლის მიერ დაწერილი ისტორიის სწავლამ. მათ, ვინც ბრმად წამოვეგ მოსკოვიდან ნიაღვარივით წამოსულ ანტიუკრაინულ პროპაგანდას, სწორედ საკუთარი წარსულის ცოდნა აკლიათ, რადგან ივია პარტიოტიზმის უპირველესი ბურჯი და ბალავარი. „პუტინმა შესძლო ის, რაც ვერავინ შესძლო. მან გააერთიანა უკრაინელი ხალხი“, – წერს ცნობილი რუსი დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი. ეს საკმაოდ სწორი აზრია და მეც ასე მგონია, რადგან დღეს უკრაინელთა მეტი წილი პუტინმოძულეა და სწორედ მასში ხედავს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელდაკაპიწებულ მესაფლავეს. და მაინც, როცა კიევის მაიდანზე ბანდერას პორტრეტი ჰკიდია, ხოლო კრამატორსკის ბლოკ-პოსტზე კი ლენინისა, ვფიქრობ, პუტინის გარდა კიდევ რაა ძალაა ისეთი, რომელიც თითქმის გახლეჩის პირამდე მისულ უკრაინას გააერთიანებდა არა

масштабом. За ним була боротьба за національну незалежність, знесення радянського союзу та створення суверенної Української держави. На тринадцяту річницю її існування вибухнула «помаранчева революція», яка перетворила вулицю в найголовнішу діючу силу української політики та згодом акція переросла в бунтівний Євромайдан! Раніше, як пристойний, одружений чоловік, який із острахом руйнування своєї сім'ї намагається не захокуватись в іншу жінку, я до кінця намагався не захокуватись в Україну, я боявся того, що серце не вмістить в себе любов до двох країн. Все добре, чи погане, що бачив або чув, або читав тут, порівнював з грузинським, шукав противагу. Дивувався тим грузинам, які взяли за хрещених батьків своїм дітям тутешніх, побудували дачі біля Києва. Коли спілка письменників розподіляла земельні ділянки, від своєї я відмовився, адже думав, що це могло прив'язати мене до чужої землі і в свою чергу ще більше віддалило би мене від Грузії. Та ось Україні погрожує війна. Проте не просто погрожує, в Україні почалась справжня війна та після Чорнобиля я вперше та остаточно відчув, що ця земля, це місто, цей народ є рідними для мене та його біда є моєю бідою. Хоча, це я знав й досі. Але протягом цих місяців, коли так розтяглась «зима нашого хвилювання», чітко проявилось моторошне обличчя спільного ворога грузин та українців, який невпинно нападає кораблями, танками, літаками, насилає кіллерів, терористів, грабіжників. Після цього не дивно, що більшість українців тягнеться до цивілізованої Європи та сподівається на сильний щит Євроатлантичного альянсу як гарантів національного визволення та демократичного розвитку. Я написав більшість, написав тому, що (це той випадок, коли йдеться саме про населення, а ні про націю, адже останнє – це більш високе та конкретне поняття) певна частина, нажаль, ще не помітила Дамоклів меч над кожним з них. Великий кінорежисер Олександр Довженко скаржився, що Україна це–єдина країна, де не вчать власну історію. Це було саме так та ми зараз бачимо, до чого призвело вивчення історії, написаної завоювником. Тим, хто несвідомо піддалися антиукраїнській пропаганді, яка лилась, як дощ, не вистачає саме знання власного минулого, тому що знання і є головною основою та фундаментом. «Путін зміг те, що не зміг ніхто. Він об'єднав український народ» - пише відомий російський дисидент Володимир Буковський. Це досить слушна думка та я теж так думаю, адже переважна частина українців – путіноненависники. Бо саме в ньому бачать старанного могильника незалежності власної країни. Та все одно, коли на Київському майдані висить портрет Бандери, а на блок-пості Краматорська - Леніна, гадаю, яка ще сила, окрім Путіна, могла б об'єднати доведену до розколу Україну не ситуативно, а остаточно ?! Міжнародна політична

მხოლოდ სიტუაციურად, არამედ საბოლოოდ! საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა და ეკონომიკური თანადგომა თავისთავად ბევრს ნიშნავს, მაგრამ რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, უკრაინის მთავარი გასაჭირი მისი საშინაო საქმეებია. პრობლემურ რეგიონებში მას ჰყავს აბსოლუტურად გახრწნილი ხელისუფლება და მოღალატურად განწყობილი მოსახლეობა, რაც ართულებს და თითქმის შეუძლებელს ხდის იქ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. რუსეთის ფაქტორი კი რუსულენოვან სამხრეთ-აღმოსავლეთში უზარმაზარია, რასაც კიევი, სამწუხაროდ, ვერაფერს უპირისპირებს. დონბასის მოსახლეობის აქტიური ნაწილი, რომელიც ქუჩაში გამოდის და პროტესტს გამოხატავს, მტრად სწორედ კიევურ მთავრობას მიიჩნევს და არა რუსეთის მიერ შემოგზავნილ ტერორისტებს. უკრაინის თებერვლის რევოლუციამ გვიჩვენა, რომ ხალხმა მაიდანზე გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხდა პარლამენტში, სადაც ძველებურად სხედან და ანტიუკრაინულ საქმეებს აკეთებენ სეპარატისტები. ბევრი მათგანი პრემიერდენტობის კანდიდატი გახდა, სარგებლობდა დამატებითი ხელშეუხებლობით, დადიოდა სახელმწიფო დაცვის თანხლებით და გვეპოზიორებოდა ბილბორდებიდან თუ ტელეეკრანებიდან. მათ პოლიტიკური ამინდის შესაბამისად შეცვალეს რიტორიკა, მაგრამ ყველა გრძნობს და ხვდება, რომ შინაგანად ისეთივენი დარჩნენ. რევოლუციამ ვერ მოგვცა მკაფიო ლოზუნგი, იდეა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის პოსტმაიდნური განვითარების გზებს. დამოუკიდებლობის წლებში დემოკრატიულმა სამყარომ დაუშვა ბევრი შეცდომა, რომელთა მწარე ნაყოფსაც ახლა ვიმკით. უპირველესად არ იქნა გათვალისწინებული რუსეთის მენტალური თავისებურება, რაც მის მტაცებლურ ბუნებაში გამოიხატება. იმპერიას არა აქვს საზღვრები, მას აქვს პერიფერიები, რომლებიც მოითხოვენ მუდმივ გაფართოებას. ნებისმიერი ქვეყანა იმპერიის მიჯნაზე მისი პოტენციური მსხვერპლია. რუსეთმა გარკვეული ხნით თავი მოიკატუნა, რომ თითქოს განახლდა და დასავლურ ღირებულებებს აღიარებს. როცა მოლონიერდა, ბრჭყალებიც გამოაჩინა და ახალი პოლიტიკური და კულტურული იდეოლოგიამაც შემოგვთავაზა: „რუსული სამყარო!“ ესაა პრაქტიკულად თანამედროვე რუსეთის განვითარები დოქტრინა, რომლის თანახმადაც ეს სამყარო მთავრდება იქ, სადაც მთავრდება რუსული ენის გამოყენების სფერო. ადრე შემოპარებული ტერმინი „რუსულენოვანი მოსახლეობაც“ ამ იდეოლოგიის ნაწილია, უფრო მეტიც – ძირითადი საყრდენია მისი. ახლა გადავხედოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის რუკას და დავინახავთ რა მკაფიოდ იკვეთება მასზე რუსი შოვინისტების მიერ ნალოლიავეები „სამყაროს“ ავბედითი კონტურები. პუტინის აკვიატებული იდეაა შთაბეროს მას ახალი სიცოცხლე. უპირველესად კი გააერთიანოს „რუსული“ ქალაქები, რა თქმა უნდა, მათი ისტორიული „დედის“ კიევის ჩათვლით. პუტინი მიხვდა, რომ ამ სამყაროს ცენტრი კიევია და არა მოსკოვი. ტერმინი „რუს“ დასაბამიდან აღნიშნავდა იმ ტერიტორიას, რომელსაც მოიცავდა „კიევსკაია რუს“ და შესაბამისად იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც. უკრაინელები, როგორც მათი ეთნოგენეზისის შედეგად წარმოშობილ ადამიანთა ერთობა, სახელწოდება „რუსს“ გაცილებით დასაბუთებულად იმსახურებენ (უკრაინელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი „რუსინები“ დღესაც ცხოვრობს იმიერკარპატეთში),

პідтримка та економічна допомога, звісно означає багато, але яким би парадоксальним нам не це здавалось, а головною бідою України є її внутрішні справи. У проблемних регіонах у неї абсолютно корумпована влада та зрадницьки налаштоване населення, що ускладнює та робить майже неможливим відновлення конституційного порядку. А російський фактор є величезним у російськомовному південному-сході та нажаль Київ не може йому нічого протиставити. Активна частина населення Донбасу, яка виходить на вулицю та виражає протест, вважає ворогом саме Київську владу, а не терористів, яких надіслала Росія. Українська лютнева революція показала, що народ переміг на майдані, але зазнав поразку в парламенті, де як і раніше сидять та здійснюють антиукраїнські справи сепаратисти. Багато з них стали кандидатами в президенти, користувались додатковою недоторканістю, ходили у супроводі державної охорони та позували з біл-бордів або телеекранів. (тут четко нужно понимать, о каком времени говорит автор. Он может иметь ввиду как прошедшее, так и настоящее время). Вони згідно з політичною погодою змінили риторику, але всі відчувають та здогадуються, що всередині вони лишилися незмінними. Революція не дала нам чіткого гасла, ідеї, яка означила би шляхи розвитку постмайданної країни. За роки незалежності демократичний світ допустив багато помилок, гіркі плоди яких ми зараз пожинаємо. В першу чергу не була передбачена особливість російської ментальності, що виражена в її загарбницькій природі. Імперія не має меж, вона має периферію, які потребують постійного розширення. Будь-яка країна прикордонна з імперією є її потенційною жертвою. Росія на деякий час вдавала, що вона ніби відновилась та визнає західні цінності. Коли вона набралась сил, показала свої кігті та запропонувала нову політичну та культурну ідеологію: «Російський світ!». Це практично є доктрина розвитку сучасної Росії, згідно з якою цей світ закінчується там, де закінчується сфера використання російської мови. Термін, який закрався раніше, «російськомовне населення» є частиною цієї ідеології та ще більше – його основна опора. Зараз, переглянувши мапу радянського союзу ми побачимо, як чітко простежуються зловісні контури «світу», який так захищають російські шовіністи. Путін схиблений на ідеї вдихнути в нього нове життя, а спершу об'єднати «російські» міста, звісно, разом з їх історичною «матір'ю» Києвом. Путін зрозумів, що центром цього світу є Київ, а не Москва. Термін «Русь» з початку визначав ту територію, яку включала в себе «Київська Русь» та відповідно населення, яке проживало там. Українці, як спільнота людей, яка виникла в результаті їх етногенезу, назву «Русь» заслуговують набагато логічніше (етнографічна група українців «русини» й сьогодні живуть в Закарпатті), ще до



ვიდრე პეტრე პირველამდე არსებული მოსკოვიტები, რომლებმაც იგი მიითვისეს. თუ ისტორიული ფაქტების ლოგიკას მივყევით, თანამედროვე რუსებს ანუ მოსკოვიტთა შთამომავლებს, არაფერი აქვთ საერთო არც მთავრინა ოლღასთან, არც იაროსლავ ბრძენთან, არც ვლადიმერ მონომახთან, არც იმ ქრისტიანულ ცივილიზაციასთან, რომელიც 988 წელს „კიევსკაია რუსის“ მონათვლით დაიწყო. გამოჩენილი უკრაინელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, დამოუკიდებელი უკრაინის პირველი პრემიერდენტი მიხაილო გრუშევსკი თავის ნაშრომში “ვინ არიან უკრაინელები და რა სურთ მათ” (1917), წერდა, რომ ძველად, ჯერ კიდევ ოლღასა და ვლადიმერის დროს, რომელმაც კიევის რუსეთი მონათლა, ჩვენს ქვეყანას რუსების ქვეყანა ერქვა. ველიკორუსული და ბელორუსული მიწებიც ამ სახელით იყო ცნობილი, რადგან ისინიც კიევს ეკუთვნოდნენ. თათრებისა და მონღოლების შემოსევისას ძველი კიევის სახელმწიფო გაიყო და კიევულ მთავრებს უკვე ყურს არავინ უგდებდა. კიევის მიტროპოლიტი მოსკოვში გადაბარგდა, ხოლო გალიციისა და ვოლინის მხარეში საკუთარი მიტროპოლიტი აირჩიეს. ამიერიდან უკვე მოსკოვის მიტროპოლიტი იყო უპირველესი და უფროსი, მის მიტროპოლიას ერქვა “დიდი რუსეთი”, გალიციისა კი “მცირე რუსეთი”. ამ გაყოფიდან კიდევ საკმაოდ დიდხანს კიევისა და გალიციის მიწებზე მცხოვრები ხალხი საკუთარ ქვეყანას რუსთა ქვეყანას უწოდებდა. მას შემდეგ, რაც ბოგდან ხმელნიკის დროს უკრაინისა და ბელორუსიის მიწები მოსკოვის მიწებთან

москovićтв при Петрі І, які привласнили її. Якщо ми простежимо логіку історичних фактів, сучасні росіяни або нащадки москovićтв нічного не мають спільного ні з Княгинєю Ольгою, ні з Ярославом Мудрим, ні з Володимиром Мономахом, ні з тією християнською цивілізацією, яка в 988 році почалась з хрещення «Київської Русі». Відомий український історик та державний діяч, перший президент незалежної України Михайло Грушевський в своїй праці «Хто такі Українці та чого вони хочуть» (1917), писав, що в давнину, ще в часи Ольги та Володимира, який похрестив Київську Русь, наша країна називалась «країна Руських». Великоруські та Білоруські землі також були відомі під цим ім'ям, адже вони належали Києву. Під час нападу татарів та монголів, давня Київська держава розділилась та ніхто не прислухався до Київської влади. Київський Митрополит переселився в Москву, а в Галицькій та Волинській землях обрали власного Митрополита. З цих пір вже Московський Митрополит був головним та старшим, його Митрополія називалась «Велика Русь», а Галицька «Мала Русь». Після цього розділення народ, який жив на Київських та Галицьких землях, ще досить довго називав власну країну - країною Руських. Після того, як при Богдані Хмельницькому українські та білоруські землі об'єдналися з Московськими землями



გაერთიანდნენ (1654), იშვა სახელწოდებები “დიდი, მცირე და თეთრი რუსეთი”. მოსკოვიტების შთამომავლობამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ ფსევდორუსეთის ისტორია იწყება „ოქროს ურდოდან“ და უნგრულ-ფინური ტომების, თათრების, მორდელების, მოკშების, მემჩერიაკებისა და სხვათა მრავალთა ნაზვიდან.

თუ ჩვენს მსჯელობაში ძალიან გავთამამდებით იმ დასკვნამდეც შეიძლება მივიდეთ, რომ პუტინის თანამემამულეები წარმოშობით საერთოდ არ არიან სლავები, თუმცა თავიანთი იმპერიული ყოფის პერიოდში ეროვნული იდენტობის უმთავრეს ნიშნად „პრავოსლავიე“ გამოაცხადეს, რომელიც მათი გაგებით (მე ასე ვფიქრობ) უფრო ორთოდოქსალურ სლავობას ნიშნავს, ვიდრე ქრისტიანობას. და, აი, აქ კი მივადექით იმ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომლის გამოც რუსეთი ასე აგრესიულადაა განწყობილი უკრაინის მიმართ და ვერანაირად წარმოუდგენია იგი საკუთარ საზღვრებს მიღმა. გადმოცემის თანახმად, როგორც ცნობილია, „კიევსკაია რუს“ მთავარმა ვლადიმირმა მონათლა ხერსონესში, რომელიც თანამედროვე სევასტოპოლის მახლობლად მდებარეობს. თუ უკრაინა ცალკე სახელმწიფოა და ყირიმი მისი შემადგენელი ნაწილია, გამოდის, რომ რუსული ეროვნული იდეის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი „დერჟავის“ მიღმაა, რაც პუტინს, გუნდიაევს და მათ გარემოცვას დაუშვებლად მიაჩნიათ. არის, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც, რომელთა ასხნა არც თუ ძნელია. ესაა ე.წ. თანამემამულეთა დაცვა, საკუთარ საზღვრებთან ნატოს ჯარების მიუღებლობა, ეკონომიკური ინტერესები და, რაც მთავარია, უკრაინის კვლავ საკუთარ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცევა. ცხადია, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი

(1654), народилися назви «велика, мала та біло Русь». Нащадки московітів звісно, знають, що псевдоросійська історія починається із «Золотої Орди» та зі змішання угорсько-фінських народів, татарів, мордвів, мокшів, міщеряків та багато інших народів. Якщо ми продовжимо наше розмірковування сміливіше, можемо дійти того висновку, що співвітчизники Путіна за походженням є зовсім не слов'янами, адже під час свого імперського існування найголовнішим знаком національної ідентичності вони оголосили «православ'я», яке за їх розумінням (на мою думку) означає більш ортодоксальне слов'янство, ніж християнство. Та ось, ми підійшли до головної причини, через яку Росія так агресивно налаштована по відношенню до України та ніяк не може уявити її за межами власних кордонів. За переказами, як відомо, «Київську Русь» похрестив Володимир Великий в Херсонесі, який знаходиться біля сучасного Севастополя. Якщо Україна це окрема держава та Крим є її складовою частиною, виходить, що один з головних опор національної ідеї опиняється за межами «держави», що для Путіна, Гундяєва та їх оточення є неприпустимим. Є звісно й інші причини, пояснити які не так вже й важко. Це так званий захист співвітчизників, неприйняття військ НАТО біля власних кордонів, економічні інтереси та головне, бажання знову повернути Україну в межі власного геополітичного простору. Вочевидь, протягом багатовікового держаного співіснування, сьогоденні росіяни змішались зі справжніми слов'янами та доводили

თანაცხოვრების მანძილზე დღევანდელი რუსები გვარიანად აითქიფნენ ნამდვილ სლავებში და დღეს მტკიცება იმისა, რომ მათ სლავობისა არაფერი სცხიათ, გადაჭარბება იქნება. მძლავრი იმპერიული და საბჭოთა პროპაგანდის გავლენით, რომელიც ამკვიდრებდა სამი ერის – რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების – სისხლისმიერი და სულიერი ძმობის თეორიას, სამივე ეთნოსში არსებობს გარკვეული ნათესაობის შეგრძნება, მაგრამ ყველაფერს აფუჭებდა და აფუჭებს „უფროსი ძმის“ სინდრომი, რომელიც რუსებმა ვერა და ვერ დაძლიეს. ისინი არ სცნობენ უკრაინელებს ერად, უკრაინულს კი ენად. ერთის მხრივ ამბობენ, რომ უკრაინული ენა არ არსებობს, მეორე მხრივ კი მოითხოვენ, უკრაინული არ გვესმის, ამიტომ რუსულსაც სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭეთო. იბადება ბუნებრივი კითხვა: თუ უკრაინული იგივე რუსულია, როგორ არ გესმით და თუ რუსული არაა, ცალკე ენად რატომ არ ცნობთ? მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის მოსახლეობას, ისევე როგორც უკრაინისას, რომელთა ნათესაობის უარყოფა ძნელია, არ სურს ერთმანეთთან ომი, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ერთი დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება: აქამდე არსებული ე.წ. „ოქროს თაღების“ კონცეფცია, რომ თითქოს ქვეყნები, რომლებსაც აქვთ „მაკდონალდსების“ ქსელი, ერთმანეთთან არ იომებენ, რუსეთის უკრაინაში შემოჭრამ ნაცარტუტად აქცია. რომელი „მაკდონალდსი“, როცა ათასი ნათესაური კავშირით გადანასკვეული ორი ერი დაპირისპირებია ერთმანეთს! სხვათაშორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რუსებსა და უკრაინელებს ერთმანეთზე იერიში მიაქვთ. მაგალითად, 1659 წელს პეტმანმა ივან ვიგოვსკიმ უკრაინულ ციხესიმაგრე კონოტოზთან სასტიკად დაამარცხა რუსი სარდლების სემიონ პოჟარსკისა და სემიონ ლვოვის ცხენოსანი არმია და ეს შეტაკება ისტორიაში ცნობილია კონოტოპის ბრძოლის სახელწოდებით. 1708 წელს მოსკოვური ჯარი ალექსანდრე მენშიკოვის მეთაურობით თავს დაესხა კაზაკთა დედაქალაქ ბატურინს, ამოწვევით მისი მცხოვრებნი და მიწასთან გაასწორა იქაურობა. ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი შეტაკება რუსებსა და უკრაინელებს შორის მოხდა 1918 წლის თებერვალში, როცა კიევს მოსკოვური წითელი ურდო შემოესია პოლკოვნიკ მიხეილ მურავიოვის მეთაურობით. მათ მედგრად დაუხვდნენ პეტლიურელებისა და პაიდამაკების რაზმები, მაგრამ მომხდურის რიცხვობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. უკრაინელთა ისტორიულმეხსიერებაში აწუკვევალეგენდებულია სამასი უკრაინელი სტუდენტის თავგანწირვა იმავე მურავიოვთან სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სადგურ კრუტისთან 1918 წლის იანვარში, სადაც ყველა, სათითაოდ, გმირული სიკვდილით დაეცა (ძალიან ჰგავს ჩვენი სამასი არაგველის თავდადებას კრწანისთან ან ჭაბუკი იუნკერების გმირობას ტაბახმელასთან). კიდევ ბევრი სხვა უთანხმოება და სისხლიანი გარჩევა ჰქონია ამ ორ მემზობელ ერს, მაგრამ ოფიციალური ისტორიოგრაფია მათ მორცხვად ჩქმალავდა. მხოლოდ 2009 წელს პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს თაოსნობით აღინიშნა კონოტოპის ბრძოლის 350 წლისთავი, რაც რუსეთმა ძალიან მტკივნეულად აღიქვა და არამეგობრულ ჟესტად შეაფასა. ეს ის დრო იყო, როცა მოსკოვსა და კიევს შორის გაგანია საგაზო ომი მიმდინარეობდა. იანუკოვიჩის ტახტზე ასვლისა და, როგორც ახლა ვხედავთ, სრული ფარული კაპიტულაციის შემდეგ კრემლმა შეარბილა

те, що вони зі слов'янством не мають нічого спільного було б перебільшенням. Через вплив сильної імперської та радянської пропаганди, яка впроваджувала теорію кровного та духовного братства трьох націй – росіян, українців та білорусів, в усіх трьох етносах існує певне відчуття спорідненості, але все псувало і псує синдром «старшого брата», який росіяни ніяк не можуть здолати. Вони не визнають українців нацією, а українську - мовою. З одного боку, вони кажуть, що української мови не існує, а з іншого – вимагають надати російській мові статус держаної, через те, що не розуміють українську. Виникає природне питання: якщо українська це та сама російська, чому ви її не розумієте, а якщо вона не є російською, чому не визнаєте окремою мовою? Незважаючи на все, населення Росії також як й українське населення, спорідненість яких тяжко заперечувати, не бажають воювати один з одним, хоча виходячи зі створених обставин, можна зробити хоч один висновок: існуючу досі так звану концепцію «Золотих арок», згідно з якою, країни, в яких є мережа «Макдональдсів» не будуть воювати один з одним, вторгнення Росії в Україну перетворило на попіл. Про який «Макдональдс» може йти мова, коли дві нації, пов'язані між собою родинними зв'язками зіштовхнулись один з одним?! До речі, це не перший випадок, коли росіяни та українці, орієнтуються один на одного. Наприклад, в 1659 році Гетьман Іван Виговський, біля української фортеці, біля Конотопу розгромив кінну армію російських командирів Семена Пожарського та Семена Львова. Ці зіткнення відомі в історії, як Конотопська битва. В 1708 році московська армія під головуванням Олександра Меншикова напала на Козацьку столицю Батурин, знищила його населення та зрівняла із землею це місце. Один з найкривавіших боїв між росіянами та українцями відбувся у лютому 1918 року, коли Московська Червона Орда оточила Київ під командуванням Михайла Муравйова. Їм протистояли загони Петлюрівців та Гайдамаків, але чисельна перевага ворога зіграла свою роль. В історичній пам'яті України стала вже легендою жертва трьох сотень українських студентів, в смертельній боротьбі з тим самим Муравйовим, біля станції Крути, в січні 1918 року, де всі, кожен з них героїчно віддав життя (дуже схоже на жертву наших трьох сотень Арагвелів біля Крцанісі або геройство юнаків Юнкерів біля Табахмела). Ще багато інших незбіжностей/розбіжностей (в данном случае слово переводится как несовпадение, но автор в тексте пишет о совпадениях) збігів та кривавих сутичок було між двома сусідніми націями, але офіційна історіографія їх із соромом приховує. Тільки в 2009 році за ініціативою президента Віктора Ющенко було відзначено 350 річницю Конотопського бою, яку Росія сприйняла дуже болісно та сприйняла як ворожий жест. Це було у той час, коли між Москвою та Києвом була у розпалі газова

მკაცრი რიტორიკა უკრაინის მიმართ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მოღალატე დიქტატორის ჩამოგდება, რომ ისევ ძველი ცნობილი ფირფიტა ჩაერთოთ: არიქა, ჩვენებს სცემენ, უნდა მივეშველოთო! ვფიქრობ, სანამ დამპყრობელს არ მოუთოვავს თავისი იმპერიული მადა, უკრაინამ უნდა დასძლიოს პაციფიზმის, „ისტორიული ძმობის“ კომპლექსი და თვითონ დაიცვას საკუთარი მიწა–წყალი. მარტო საქართველოს მაგალითიც საკმარისია, რომ მივხედეთ – შენს ნაცვლად თავს არავინ მოიკლავს. უკრაინამ უბრძოლველად და საკმაოდ საჩოთიროდ უკვე დაკარგა ყირიმი, მაგრამ თუ სირაქლემას პოზაში ყოფნას გააგრძელებს, დაკარგავს მათაც, რომელთაც ასე გააფთრებით ედავებიან. საერთოდაც უცნაური დამოკიდებულება აქვს დღეს უკრაინას თავის ოკუპანტ ქვეყანასთან: აგრძელებს მასთან აღებ–მიცემობას, კულტურულ ურთიერთობებს, უფრო მეტიც – აწვდის მას სამხედრო პროდუქციას, თითქოს ამ ნახევარი წლის მანძილზე არც არაფერი შეცვლილა. სინამდვილეში კი იმდენი რამე შეიცვალა და თანაც როგორ: თავდაყირა დადგა არა მარტო ცალკე აღებული უკრაინის, არამედ გლობალური უსაფრთხოების საკითხი. გამოიკვეთა ტენდენცია, როცა ატომური ბომბით აღჭურვილ ერთ აგრესორ ქვეყანას შეუძლია საკუთარი ნება–სურვილი უკარნახოს დანარჩენ მსოფლიოს. რუსეთი ჩერდება იქ სადაც გაჩერებენ, ამიტომ გამოსავალი, ვფიქრობ, ერთადერთია: ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს პრინციპული დამოკიდებულება რუსეთის ნეოიმპერიალისტური ზრახვების მიმართ. ვიმედოვნებ, რომ მათ არსენალში მოიძებნება თავაშეგებული ტერორისტის ასალავამი საშუალება. ბოლოს და ბოლოს, რაც დღეს უკრაინაში ხდება, არანაკლებ ემუქრება მათ სასიცოცხლო ინტერესებსაც. გეოპოლიტიკა ისეთი ოხერია, რომ მასში ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ბედი ინასკვება. უკრაინის მოვლენები სარკეა, სადაც სავარაუდოდ საკაცობრიო მომავლის საგანგაშო სილუეტებიც შეიძლება დავინახოთ. საქართველოს წარსული რომ აქ კარგად მოიანს, მგონი, მტკიცება არ სჭირდება. ჩვენ უკვე გამოვლილი გვაქვს გაუმძღარ ჩრდილოელ მეზობელთან ხანგრძლივი დიპლომატიური, ცივი და ცხელი ომები, ნაწენვეი გვაქვს ტერიტორიების მიტაცებით გამოწვეული ტკივილი და ამჟამადაც წინადაც ვხდებით საოკუპაციო მავთულხლართის უფრო და უფრო ქვეყნის სიღრმეში თავხედურად გადმოწევის უმწეო მომსწრენი. სამწუხაროდ, ჩვენი სავალალო ბედი უკრაინამაც გაიზიარა. ის, რასაც დიდ ხანია ვარაუდობდნენ და მე ჯიუტად არ მჯეროდა, მოხდა: რუსეთმა არც მეზობელი, ერთმორწმუნე უკრაინა დაინდო, რომელმაც ევროპის გზით სიარული სცადა. მათი დაპირისპირების პროცესი ვერაც ურთულეს ფაზაშია და არ დამთავრებულა, მაგრამ უდავოა ერთი რამ: დამთავრდა ვიქტორ იანუკოვიჩის ავტოკრატიული მმართველობა და ქვეყანამ დემოკრატიულად აირჩია ახალი პრეზიდენტი, რომელსაც დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მოსკოვიც ცნობს. აქედან უკვე იწყება უკრაინის არა მარტო პოსტმაიდანური, პოსტყირიმიული, არამედ ჭეშმარიტად პოსტსაბჭოური ეტაპი და ამაზე უკვე სხვა, ვრცელი, ანალიტიკური წიგნია დასაწერი. ჩათვალეთ, რომ ეს იმპრესიები მხოლოდ მოვლენათა ცხელ კვალზე შექმნილი მცირედი შესავალია მისი.

რაულ ჩილაჩავა,
29 მაისი, 2014, კიევი

ვійна. Після приходу Януковича до влади, і, як ми зараз бачимо, повної прихованої капітуляції, Кремль пом'якшив риторику по відношенню до України, але виявилось, що достатньо скинути диктатора-зрадника, щоб вони увімкнули стару знайому платівку: наших б'ють, треба допомогти! Гадаю, доки загарбник не вгамує свій імперський апетит, Україна повинна подолати комплекс пацифізму, «історичного братства» та захистити рідну землю. Прикладу однієї Грузії достатньо, щоб зрозуміти – за тебе ніхто не буде приносити себе в жертву. Україна без бою та досить сумнівно вже втратила Крим, але якщо буде продовжувати перебувати в позі страуса, втратить й тих, хто так люто звинувачує її. Взагалі, в Україні дуже дивні стосунки сьогодні з країною-окупантом: вона продовжує з нею торгіві, культурні відносини та навіть надає їй військову продукцію, ніби протягом останньої половини року нічого не змінилось. В дійсності ж стільки всього змінилось та ще й як: з ніг на голову постало питання безпеки, не тільки окремо взятої України, але й глобальної безпеки. Стала помітною тенденція, коли одна країна озброєна атомною бомбою може за своїм бажанням диктувати всьому світові. Росія зупиниться там, де її зупинять, вихід, гадаю, тільки один: принципова позиція Євросоюзу, Сполучених штатів Америки та НАТО щодо неоімперіалістичних планів Росії. Сподіваюсь, що в їх арсеналі знайдеться засіб вгамувати нестримного терориста. Зрештою, те, що зараз відбувається в Україні не менш погрожує їх життєвим інтересам. Геополітика така річ, що в ній одночасно вирішується доля кількох країн. Події України це дзеркало, де можемо побачити тривожні силуети майбутнього людства. Те, що тут чітко простежується минуле Грузії, гадаю, не треба доводити. Ми вже пройшли з ненаситним північним сусідом довгу, дипломатичну, холодну та гарячу війну, ми відчули біль від присвоєних територій та зараз ми спостерігаємо зухвале пересування ще далі, вглиб країни, окупаційного колючого дроту. Нажаль, нашу тяжку долю розділила й Україна. Те, про що довго здогадувались, а я вперто не хотів вірити, відбулось: Росія не пожалкувала й сусідню православну Україну, яка спробувала піти Європейським шляхом. Процес їх протистояння досі в найтяжчому стані та не завершений, але беззаперечним є одне: завершилось автократичне управління Януковича та країна демократичним шляхом обрала нового президента, якого разом з іншим світом визнає й Москва. Звідси починається вже не тільки постмайданний, посткримський, а й дійсно пострадянський етап та про нього слід написати вже іншу, аналітичну книгу. Вважайте, що ці імпресії є тільки вступом, створені по гарячих слідах подій.

Рауль Чілачава,
29 травня, 2014, Київ

უკრაინელი დევნილი ბავშვები საქართველოში

УКРАЇНСЬКІ ДІТИ БІЖЕНЦІ В ГРУЗІЇ

უკრაინაში სამხედრო მოქმედებების შედეგად დამარაღებული ბავშვებისათვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ანაკლიის „მომავლის ბანაკში“ ორგანიზირებული პროგრამა განხორციელდა. 16 სექტემბერს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის



მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე ავიაკომპანია “საქართველოს ავიასაზღვების” ჩარტერული რეისით, უკრაინაში ჩამოვიდნენ. კიევის, “ჟულიანის” აეროპორტში დელეგაციის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც უკრაინის ძირითადი ტელეარხები იყო წარმოდგენილი. აეროპორტში იმყოფებოდნენ უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა, საქართველოს ელჩი უკრაინაში — მიხეილ უკლება და საელჩოს წარმომადგენლები. პრესკონფერენციაზე გელა დუმბაძემ, ისაუბრა რა ამ ჰუმანიტარული აქტის მნიშვნელობაზე, კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობის მხრიდან უკრაინისა და უკრაინელი ხალხისადმი მხარდაჭერა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს მუდამ ეხსოვება ძნელბედობისას უკრაინელთა მიერ გაწეული ძმური დახმარება. პრესკონფერენციის დასრულებისთანავე თვითმფრინავმა საქართველოსკენ აიღო გეზი და საღამოს ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტში დაეშვა, სადაც უკრაინელ მოზარდებს გულთბილი შეხვედრა მოუწევს იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გუზან სანიკიძემ, ქალაქის მერმა, ქუთათურებმა და ქართველმა თანატოლებმა. აქედან ავტობუსებით უკრაინელი მოზარდები ანაკლიაში გაემგზავრნენ, სადაც შეხვედრის საზეიმო ცერემონია გაიმართა. უკრაინელი მოზარდებისათვის მომზადდა საინტერესო

Творчий вечір Рауля Чілачави — великого грузинського українця (так його звать в Україні) пройшов в дуже теплій та дружній атмосфері. Це було ще одне свято поезії, де перед нашими очима знову народжувались геніальні вірші українських поетів — Григорія Сковороди, Тараса Шевченка, Івана Франка, Лесі Українки та багатьох інших, які заговорили чарівною грузинською мовою.... На презентації вихованці культурно-просвітницького центру «Іберієлі» (Торніке Чечелашвілі, Маріам Мікадзе, Маріам Кікалішвілі, Гванца Кварацхелія, Іраклій Шамугія, Мішо



Амбросашвілі, Карло Чітінашвілі та Мілена Шакарішвілі) прочитали вірші відомих українських поетів українською та грузинською мовами, перекладані Раулем Чілачавою. На вечері були присутні Надзвичайний та Повноважний посол в Україні Міхеїл Уклеба, відомі українські та грузинські письменники, серед них Дмитро Павличко та донька великого грузинського поета Ладо Асатіані — пані Манана Асатіані, також дипломати, громадські діячі та представники українського медіа.

ქართული კვირეული უკრაინაში

„შავშვრემანებს — შავი ჩოხა...“

ГРУЗИНСЬКИЙ ТИЖДЕНЬ В УКРАЇНІ

«БРЮНЕТАМ – ЧОРНУ ЧОХУ...»

ქართული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ინტერესი უკრაინაში ყოველწლიურად იზრდება. ამის დასტურად შეიძლება კიევში გამართული არაერთი ღონისძიება მოვიყვანოთ. ზოგი მათგანი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა და ჩვენი ქვეყნისადმი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი იყო. ამ ღონისძიებებში ჩვენი სათვისტომო აქტიურად იყო ჩართული.

„თუ ყოველი დღე ზეიმია, მაშასადამე, საქართველოში ხარ“ — ასეთი ლოზუნგით მასპინძლობდა ქართულ კვირეულს „სლავა ფროლოვას არტ-პიკნიკი“ 17—21 სექტემბერს რომ გაიმართა. კიეველებს და დედაქალაქის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, ჩვენთვის ძვირფას — ქართულ ენას, ცეკვას, სიმღერას, ფერწერას, კულინარიას და ზოგადად ქართული ხელოვნების ცალკეულ ნიმუშებს გასცნობოდნენ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სახის მასტერ-კლასებში.

ჩვეულებისამებრ, მსგავს ღონისძიებებზე ორგანიზატორები ხალხის ნაკლებობას არ უჩივიან. წელსაც საქართველოს უმრავლეს მოტრფიალემ მოიყარა აქ თავი. ამაყი,

В Україні інтерес до грузинської культури та традицій щорічно зростає, підтвердженням цього можна навести не один захід, проведений в Києві. Деякі з них були благодійними та виражали щиру любов та повагу до нашої країни. В цих заходах наша спільнота брала активну участь.

«Якщо кожен день свято, тоді ти в Грузії» — з таким лозунгом приймав Грузинський тиждень «Арт-пикнік Слави Фролової», який проходив 17-20 вересня. Кияни та гості міста мали можливість ознайомитись з дорогими для нас грузинською мовою, танцями, піснями, живописом, кулінарією та загалом з окремими зразками грузинського мистецтва. Могли взяти участь у різних майстер-класах.

Зазвичай, організатори не скаржаться на малу кількість гостей. В цьому році також зібралась неймовірна кількість шанувальників Грузії. Горда, вільна, гарна, старовинна, дружня, з відкритим серцем,





гостинна – такі епітети лунали на адрес Грузії та грузинів. Наші братні українці із захопленням спостерігали за співаками та танцюристами, що мешкають в Україні. Грузинський тиждень, який був проведений під патронажем Посольства Грузії, відкрили фольклорний ансамбль «Ірао» та школа кавказьких танців.

Також культурний центр «Іберієлі» представив глядачам презентацію – «Подорож до Грузії». Метою презентації була популяризація курортів Грузії. Разом з дорослими на «Арт-пікніку» розважились й діти – вони уважно дивились грузинські мультфільми. Честь закрити тиждень дісталась ансамблю грузинського народного танцю

таვისუფალი, ლამაზი, უძველესი, მეგობრული, გულგახსნილი, სტუმართმოყვარე — ასეთი ეპითეტები გაისმოდა საქართველოსა და ქართველების მიმართ. ჩვენი მოძმე უკრაინელები აღტაცებით ადევნებდნენ თვალყურს უკრაინაში მოღვაწე მომღერლებსა და მოცეკვავეებს. ქართული კვირეული, საქართველოს საელჩოს პატრონაჟით რომ გაიმართა, ფოლკლორულმა ანსამბლმა „ირაომ“ და კავკასიური ცეკვების სკოლამ გახსნეს. აქვე გაიმართა პრეზენტაცია — „მოგზაურობა საქართველოში“, რომელიც კულტურულმა ცენტრმა „იბერიელმა“ წარუდგინა მაყურებელს. პრეზენტაცია მიზნად ისახავდა საქართველოს კურორტების პოპულარიზაციას. დიდებთან ერთად „არტ-პიკნიკზე“ პატარებიც გაერთნენ — ისინი გაფაციცებით უყურებდნენ ქართულ მულტფილმებს. კვირეულის საზეიმოდ დახურვის პატივი კი ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლ „იბერიელს“ ერგო.

ტრადიცია წელს არც რესტორან „კიდევში“ დარღვეულა, შემოდგომის დღესასწაულმა მშობლიურ, ქართულ გარემოში ჩაიარა. რთველი, თათარა, ჩურჩხელა, ტრადიციული ქართული კერძები და, რა თქმა უნდა, ღვინო. ამ ზეიმმა ქართულ-უკრაინული სიმღერებისა და ცეკვების ფონზე ჩაიარა. მრავალი საინტერესო მასტერ-კლასი, თიხის დამუშავება, ფერწერა, ჭაჭის არაყის გამოხდის ტრადიციები. რესტორნის სტუმრების წინაშე სხვა შემსრულებლებთან ერთად მომღერალი ქეთი შამუგია და ანსამბლი „იბერიელი“ წარსდგნენ.

4-5 ოქტომბერს, კიევის ცენტრში „თბილისობა“ გაიმართა. უკრაინის დედაქალაქში იგი უკვე მესამედ აღინიშნება. ორგანიზატორები წლითი—წლობით ამ ღონისძიებას სულ უფრო მაშტაბურს ხდიან. დღესასწაულის ფარგლებში, ანდრეას დაღმართზე მდებარე, ივანე კავალერიძის მუზეუმში, ქართველი მწერლების – დათო ტურაშვილის, აკა მორჩილაძისა და ბასა ჯანიკაშვილის უკრაინულ ენაზე გამოცემული წიგნების პრეზენტაცია მოეწყო, ასევე შედგა გამოფენის – „ფარაჯანოვი — 21-ე საუკუნის სიზმრების“ პრეზენტაცია. გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი უკრაინაში მოქმედი ქართული რესტორნების კულინარული პროდუქცია და ქართული სასმელები, რომელთაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ: ქართული

«Іберієлі».

Традиція не порушувалась в цьому році й в ресторані «Кідев», свято осені пройшло у рідній грузинській атмосфері. Ртвелі, татары, чурчхела, традиційні грузинські страви та, звісно, вино. Це свято пройшло на фоні грузинсько-українських пісень та танців. Безліч



цікавих майстер-класів, обробка глини, живопис, традиції виготовлення горілки чача. Перед глядачами ресторану разом з іншими виконавцями виступила Ketі Шамугія та ансамбль «Іберієлі».

4-5 жовтня, в центрі Києва було проведено свято «Тбілісoba». В столиці України це свято відзначили вже



ხალხური ცეკვების ანსამბლი „იბერიელი“ და „იბერია“, დუეტი „საფერავი“, დავით ჯიმშიტაშვილი, ლადო დონღვანი, ქეთი შამუგია და სხვა შემსრულებლები თუ კოლექტივები. ღონისძიების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები კი იყვნენ საქართველოს საელჩო და უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“.

ამ ორი დღის განმავლობაში, „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ათი ათასზე მეტი კიეველი და ქალაქის სტუმარი დაესწრო.

უკრაინაშიმცხოვრებმაქართველებმასიამაყითწარმოადგინეს თავიანთი ქვეყანა. ეს ზეიმი უკრაინელი საზოგადოების მიერ ძნელბედობის ჟამს ნამდვილ ძმურ მხარდაჭერად იქნა აღქმული. ამგვარად, ისინი კიდევ ერთხელ ეზიარნენ ქართულ კულტურას.



ვტრეტე. Завдяки організаторам, рік за роком це свято стає масштабнішим. У рамках свята в музеї І. Кавалерідзе на Андріївському узвозі пройшла презентація книжок грузинських письменників – Дато Турашвілі, Ака Морчіладзе та Баса Джанікашвілі, виданих на українській мові. Також відбулась презентація виставки –«Параджанов – сні 21 століття».

На прилеглий території була широко представлена кулінарна продукція грузинських ресторанів, які є в Україні та грузинські напої, які були високо оцінені гостями.

В концертній програмі взяли участь: ансамблі грузинського народного

танцю «Іберієлі» та «Іберія», дуєт «Сапераві», Давид Джімшиташвілі, Ладო Донгвані, Кеті Шамугія та інші виконавці та колективи. Організаторами та натхненниками були Посольство Грузії та Асоціація грузинів України «Іберієлі».

Протягом цих двох днів, заходи пов'язані зі святом «Тбілісoba» відвідали більше десяти тисяч киян та гостей міста.

Грузини, що живуть в Україні з гордістю представили свою країну. Це свято було сприйняте українською громадою, як справжня братська підтримка у тяжку хвилину. Таким чином, вони ще раз долучилися до грузинської культури.

ემიგრანტის დღიურები ЩОДЕННИКИ ЕМІГРАНТА



დღევანდელ დღესავით მახოვს, როგორ ჩამოვედი ცოლ–შვილიანად უკრაინაში. ეს იყო ექვსი წლის წინ. ექვსი წელია ვშრომობ, რომ იტყვიან, წელზე ფეხს ვიდგამ, ვხალისობ, ვდარდობ, ვწუხვარ, განვიცდი, ვიცინი, ვმეგობრობ...

რა არ გადამხდენია თავს, რას არ შევსწრებრივარ, ვის არ შევხვედრივარ, სალხინოც ბევრი მქონია და სამწუხაროც. გავოცდი მეზობელი რომ გამომელაპარაკა, დაინტერესდა, საიდან ვიყავი. საოცარი ხალხი ხართ ქართველები, გულუხვი, სტუმართმოყვარეო. საბჭოთა ჯარში უმსახურია საქართველოში. შემდეგ ორჯერ ყოფილა სტუმრად ბორჯომში. ხომ გამახარა? ჰოდა, მეც ავდექი და მოვეყვი ჩემი ქვეყნის ქება–დიდებას, ხალხისა და ტრადიციების ქებას, ბუნებისა და კულტურის გაღმერთებას... ბევრი ვილაპარაკეთ ერთმანეთის ნაკლისა და ღირსების შესახებ. კარგი მეგობრები ვართ დღესაც, უკვე უსიტყვოდაც ვუხვდებით ერთმანეთს. კარგი კაცია, ვასია!

ბევრი კეთილი მეგობარი შევიძინე ვასიას გაცნობის შემდეგ. ძმაკაცი მყავდა ერთი, ზურიკო ადამია, ღმერთმა აცხონოს, უსათნოესი ადამიანი იყო, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე. ჩერკასში მანქანით ჩავდიოდით ყოველდღე სამი წლის განმავლობაში, დილით, უთენია გავდიოდით კიევიდან, უკან — ღამით ვბრუნდებოდით. ცხოვრებას სჭირდებოდა ასე და მიმოვდიოდით წინ და უკან, თუკი ამინდიც გვწყალობდა. ერთხელ, უძინარები, გასავათებულები დავადექით ჩერკასის გზას, კიევს რომ გავცდით, მეგობარმა დავეირეკა წვიმსო ჩერკასში. გვესმის, რომ ტყუილად მივდივართ, არადა, იმ დღეს უკან მობრუნებაც აღარ გამოგდის, ხარჯიც გაწეულია... გადავყენეთ მანქანა გზიდან, მგესუმზირის ყანასთან, ზურიკო მანქანასთან მიწვა, ჩრდილში. მეც ჭილოფს დავავლე ხელი და მოშორებით, მგესუმზირებში ჩავწექი... ვგრძნობ, ოფლად ვიწურები, თვალები გავახილე, მზე თავს წამომდგომია. ძლივს ავითრიე წელი და მანქანისკენ წავლასლასდი, ზური არსად ჩანს. ვხედავ, „კრაზი“ მოდის, ქარსაცავ ზოლს მოჰყვება. ასე, მინდორ–მინდორ, ზედ ჩვენს მანქანას მოადგა ჯიქურ. გაჩერდა. ვხედავ, ვილაც ჯირკვიით კაცი ჩამოხტა სალონიდან, მას კი ზურიკო მოჰყვა.

ამ მგესუმზირის ველს მიღმა სოფელი ყოფილა, მაგრამ გზით რომ მისულიყავი, კარგა დიდი მანძილი უნდა შემოგველო. „კრაზის“ მძღოლიკი, ასე, პირდაპირჭრისგზას თურმედაათწუთში სახლშია. გზიდან რომ გადმოუხვევია, ჩვენი მანქანა დაუნახავს, გაუჩერებია. ზურიკო გამოუღვიძებია, რაიმე გაჭირვება ხომ არ გადგას, ან მანქანა ხომ არ გაგფუჭებიაო. უსაუბრიათ, აღმოჩნდა, თურმე ერთ საჯარისო ნაწილში მსახურობდნენ, ერთი ქართველი პოლკოვნიკის მეთაურობით. წყალი უთხოვია ზურიკოს, მანქანაში ხომ არ გაქვსო, მას კი ძალით ჩაუსვამს მანქანაში, სახლში წაუყვანია. კომპოტი, ოჯახური ძეხვი, სალო (ლორი) და კიდევ ბევრი რამ გამოუტანებია. თავად მოიყვანა უკან. ვისხედით, გადაყვითლებული, მზით განათებული მგესუმზირის ველის განაპირას და საუბარით ვხალისობდით — გვიხაროდა სამივეს, საერთო ენა რომ გამოვნახეთ. ძალიან ცხადად და მზიანად მახსოვს ის ორიოდ საათი, ის, მზიანი, მგესუმზირის ველი და ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, ადამიანის გულდია, ღიმილით გამთხარი საუბარი.

Пам'ятаю як сьогодні, приїхав разом із сім'єю в Україну. Це було шість років тому. Шість років я працюю, радію, сумую, хвилююсь, сміюсь, товаришую.

Чого тільки не трапилось зі мною, чого тільки не бачив, кого не зустрічав, було багато причин радіти та сумувати. Я був здивований, коли поговорив з сусідом, та він зацікавився тим, звідки я. Дивний народ ви, грузини, щедрі, гостинні. Він служив в радянській армії в Грузії. Далі двічі гостював в Боржомі. Чи зрадів я? Так, та я теж почав хвалити свою країну, народ, традиції та культуру... Багато розмовляли один з одним про недоліки й переваги. Ми й сьогодні є добрими друзями, навіть без слів розуміємо один одного. Добрий чоловік, Вася!

Багато друзів з'явилось в мене після знайомства з Васею.

Був в мене один друг — Зуріко Адамія, Царство йому Небесне, світла була людина, весела, повна життям. Кожен день ми їздили в Черкаси на машині протягом трьох років, рано вранці виїжджали з Києва і поверталися назад вночі. Так вимагали обставини. Їздили туди і назад, якщо погода жалувала. Одного разу ми безсонні, втомлені поїхали до Черкас та, коли проїхали Київ, зателефонував друг і сказав, що в Черкасах дощить. Розуміли, що їдемо дарма, бо в той же день ми не зможемо повернутися, та вже витратили кошти на дорогу.... Зупинили машину біля поля з соняшниками, Зуріко ліг поряд з машиною. Я теж взяв циновку та ліг неподалік біля соняшників... Відчуваю, що сильно пітнію, розплющив очі, побачив, що сонце наді мною. Ледве встав та пішов до машини, а Зуріко ніде не має. Бачу, їде «КрПАЗ» вздовж вітряної лінії. Так по полям під'їхав до нашої машини. Зупинився. Бачу, якийсь кремезний чолов'яга вийшов з салону, а за ним Зуріко.

Виявляється, за цім соняшниковим полем було село, але якщо б до нього їхати дорогою довелося б об'їжджати багато. А водій «КрПАЗ» їде коротким шляхом — за 10 хвилин вдома. Коли він повернув з дороги, побачив нашу машину та зупинився. Розбудив Зуріко, запитав чи не потрібна допомога і чи не зламалась машина. Побалакали, виявилось, що вони служили в одній військовій частині під командуванням полковника-грузина. Зуріко запитав чи нема у нього води, а той... насильно посадив його в машину та відвіз додому. Компот, домашня ковбаса, сало та ще багато чого дав в дорогу. Він сам підвіз його назад. Ми сиділи на краю соняшникового поля, яке було освітлено сонцем та насолоджувались розмовою. Всі троє раділи, що знайшли спільну мову. Дуже чітко та яскраво пам'ятаю ті дві години разом, сонячне соняшникове поле, зовсім різних чоловіків з

რადამა ვიწყებს მაიდანს. ბარიკადებს. ქალაქში შემოსასვლელი გზების სრული კონტროლისთვის ხელისუფლებასა და სახალხო თავდაცვას შორის დიდი ბრძოლა იყო. ბროვარის მხრიდან ბლოკ–პოსტები გამაგრებული აქვთ ბიჭებს, არც დღისით და არც ღამით სძინავთ. საკვებით ამარაგებენ მორიგე რაზმებს. ჩაი, ყავა, პური, ძეხვეული, ბოსტნეული, ოჯახში დამზადებული კონსერვაცია მოაქვს და მოაქვს ხალხს. სახერხების მეპატრონეები შემას მოეზიდებიან. ბავშვები, მოზარდები და მოხუცები შუშის ტარას აგროვებენ მოლოტოვის კოქტეილებისთვის. ქალები ბუტერბროდების კეთებას ველარ აუდიან. მაშინ სოლომიანსკის მოედანთან ვმუშაობდი, ყოველდღე ტროუშნიდან დავდიოდი სამსახურში. თანამშრომლებმა მცირეოდენი თანხა შევავროვეთ, მომიტინგეებისთვის თბილი ტანსაცმელი ვიყიდეთ და გადავეცით. ამ ქვეყანაში ბევრი სითბო და მხარდაჭერა, საქართველოსა და ქართველებისადმი დიდი სიყვარული მიგრძენია. არ შემძლო რაც მივიღე იგივე არ გამეცა... თან მაშინ, როცა ძალიან სჭირდებოდათ თანადგომა...

თვალწარმტაცია უკრაინა, მზეუხვი, მგესუმზირებით გადაყვითლებული ველები, თავზე რომ კამკამა, ლურჯი ცა წამოჰფენია...

მე კი მთა მომნატრებია...

კავარლივში ვიყავი ჩასული, აქაურ კარგ ადამიანს უნდა შევხვედროდი და ოჯახში დამებრუნებინა. პირველად ვიყავი ამ მხარეს. ასე სევდიანად, მოწყენილს, არასოდეს მიმგზავრია. თერჯოლას რომ გაივლი და ჩოლაპურის გაღმა ნაპირს გასცდები, გახსოვთ იქ რომ ბორცვებია? აქაურმა ბუნებამ სწორედ იქაურობა — იმერეთი მომაგონა, ჩემი დედუღეთი...

მთა „ვაკანარი“, ბარბაწმინდა. ეკალასა და მაყვლის კრეფა. ბზიგულაზე სათამაშოდ გაქცეულებს, ბებიამ რომ შებრაწული წიწილა ჩავვიწყოს მის წვენში... ბაბუამ რომ მისი მოწეული, შუშუნა ღვინოდ დაყენებული, ციცქა–ცოლიკაური შემოდგას მაგიდაზე და წელში გამოყვანილი მომცრო ჭიქებით ნება–ნება გვასვას უკვე წვერ—ულვამ ამოღერებულ ყმაწვილებს. მომენატრა, ჩემს ეზოში რომ მოვიყრიდით თავს, სიცხისაგან თავგაბეზრებულები... მომენატრა...

სამაისოდ აყვავებული, ვეება, უხვრდილიანი კოშმის ხე მომენატრა, ჩემი სახლის წინ რომ იდგა, სარკმლებს რომ აწედენდა ტოტებს და ბავშვობას მისხალისებდა, ზაფხულის მწველი მზისგან რომ გვიცავდა...

ვუმზერდი იქაურობას და ფიქრებით ჩემთან, საქართველოში ვიყავი, ჩემს ალაგას, ჩემს სამშობლოში... ნეტავ ასე უყვარს ყველას მისი სამშობლო, როგორც მე?!

უყვარს, აბა, რა?!

უსიყვარულოდ, აბა, რა ძალა გაიყვანდა ტყვიის სამიზნედ სიცოცხლეში უსახელო, მაგრამ სიკვდილის შემდეგ გმირად შერაცხულ ბიჭებს მაიდანზე?!

გაგიმარჯოს, მრავალჭირნახულო უკრაინავ, შენს გმირ, თავდადებულ შვილებთან ერთად.

დიდება საქართველოს, დიდება უკრაინას, გმირებს დიდება!!!

დავით ლალიაშვილი

відкритими серцями та зігріту посмішкою розмову.

Не зможу забути Майдан. Барикади. Велика боротьба розгорнулася між владою та народною самообороною за контроль над дорогам, що вели в місто. З боку Броварів хлопці укріпили блок-пости, вони не спали днями та ночами. Самооборону забезпечували харчами: чай, каву, хліб, ковбаси, овочі, домашню консервацію — все ніс народ. Власники лісопилки везуть дрова. Діти, підлітки та старі збирають скляну тару для коктейлів Молотова. Жінки не встигають робити бутерброди. Тоді я працював на Солом'янській площі, їздив щоденно з Троєщини на роботу. Колеги зібрали невелику суму, купили теплий одяг для мітингуючих та передали їм.

В цій країні багато тепла та підтримки в адрес Грузії та грузин. Я відчуваю цю велику любов, тому не міг не повернути те, що отримав, та ще й в часи, коли вони дуже потребують підтримки.

Мальовнича Україна — сонячна! Жовті від соняшників поля з яскравим, чистим, синім небом над нею.

... Але, я сумую за горами.

Був в Кагарлику, планував зустріч з місцевою доброю людиною... хотів повернути її до родини. Я був перший раз в тому місці. Так сумно ніколи не подорожував! Коли проїдеш Терджолу та край Чолабаурі, пам'ятаєте там пагорби? Тутешня природа нагадала мені Імереті — мою батьківщину.

Гора Вакнари, Барбарцмінда. Збирання під час прогулянок на Бзігула чортополоху та ожини, в соус з яких бабуся клала смажену курку... Дідусь ставив на стіл приготоване власними руками ігристе вино та чемно поїв нас, молодих юнаків, склянками, звуженими в «талії». Я сумую за моїм подвір'ям, де збиралися ми, втомлені сонцем... сумую... Розквітле в травні величезне дерево айви, яке росло біля мого будинку та діставало до вікон гілками. Воно наповнювало радістю моє дитинство, захищало нас від пекучого сонця.

Дивився я на все тут, а думками були в Грузії, там, де моє місце, на батьківщині...

Невже всі так люблять власну батьківщину, як я?! Авжеж, люблять?!

Яка б сила без любові тягнула б на майдан хлопців, на життя яких були націлені кулі, та які посмертно визнані героями.

Слава тобі, багатостраждальна Україно, разом з твоїми відважними дітьми!

Слава Грузії, слава Україні, героям слава!

Давид Лаліашвілі

„ჩვენები. უკრაინა + საქართველო“

«СВОЇ. УКРАЇНА + ГРУЗІЯ»



დღეს უკრაინას, როგორც არასდროს, სჭირდება მეგობარი ქვეყნების თანადგომა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისა, რომელთაც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, თუ რაოდენ ძვირფასია თავისუფლება! უკვდავი ტარას შეფენკოს სამშობლოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“ თავიდანვე აქტიურად ჩაერთო საქველმოქმედო აქციებში. ერთ-ერთი ასეთი აქცია 2014 წლის 20 სექტემბერს, უკრაინის ხალხური არქიტექტურის ეროვნულ მუზეუმში (პიროგოვოში) გაიმართა. მეგობრობის ფესტივალი „ჩვენები: უკრაინა + საქართველო“ საქველმოქმედო ფონდის „ბლაგომაის“, ქსენია კრავეუკის, ოქსანა ოლეინიკის, საქართველოს საელჩოს, სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიისა“ და ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“ აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში შემოსული თანხა აღმოსავლეთ უკრაინაში დაზარალებულ ჯარისკაცებს და დაღუპულთა ოჯახებს გადაერიცხათ.

მთელი დღის განმავლობაში, ღია ცის ქვეშ, ფესტივალზე მოსულ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა ქართულ ენის გაკვეთილს, გასცნობოდა ქართული მითოლოგიის ცალკეულ ნიმუშებს, დაეგემოვნებინა უკრაინული და ქართული კერძები და ღვინო, მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა საინტერესო კონკურსში.

Сьогодні Україні, як ніколи, потрібна підтримка дружніх країн, особливо тих, які добре усвідомили те, як дорого коштує свобода! У зв'язку з подіями, що розгортаються на батьківщині безсмертного Тараса Шевченка, Асоціація грузинів України «Іберієлі» відразу активно включилась в благодійні акції, одна за таких акцій 20 вересня 2014 року була проведена в національному музеї народної архітектури України (Пірогово). Фестиваль дружби «Свої: Україна+Грузія» пройшов з активною підтримкою благодійного фонду «Благомай», Ксенії Кравчук, Оксани Олійник, посольства Грузії, всеукраїнського громадського об'єднання «Георгія» та Асоціації грузинів України «Іберієлі». Кошти, зібрані під час події були перераховані постраждалим військовим на сході України та родинам загиблих.

Протягом цілого дня, просто неба, глядачі фестивалю мали можливість відвідати урок грузинської мови, познайомитись з окремими прикладами грузинської міфології, скуштувати українські та грузинські страви та вино, взяти участь у різних цікавих конкурсах. На фестивалі також була представлена виставка робіт



ფესტივალზე აგრეთვე წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა „საქართველოს პალიტრა“. შემოდგომის თბილ და მშვენიერ საღამოს ქართულ-უკრაინული სიმღერები და ცეკვები ამშვენებდნენ. ფესტივალში მონაწილეობდნენ: ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „იბერიელი“, დუეტი „საფერავი“, დავით ჯიმშიტაშვილი, ქეთი შამუგია, უკრაინელი შემსრულებლები ეილი და ალისა მილოშები, „დენს ჰაიატი“, „ნოვი“, „ჩერნომორცი“, „როჟანიცა“, „დელიკეტი“ და იქს-ფაქტორის ფინალისტი სერგეი გლადირი.

ფესტივალზე გამეფებულმა სიყვარულის, მეგობრობისა და მხარდაჭერის ატმოსფერომ, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ დაგვანახა, რომ უკრაინასა და საქართველოს ნამდვილი, უღალატო მეგობრობა აკავშირებთ. მეგობრობა, რომელიც, იმედია, მომავალშიც ასეთივე მტკიცე იქნება, რადგან უკრაინელმა და ქართველმა ხალხებმა კარგად უწყიან მშვიდობისა და თავისუფლების ფასი.

грузинських митців «Палітра Грузії». Чудовий осінній вечір прикрашали грузинсько-українські пісні і танці. У фестивалі взяли участь: ансамбль грузинського народного танцю «Іберієлі», дует «Сапераві», Давід Джімшіташвілі, Кеті Шамугія, українські виконавці Еіль та Аліса Мілош, «Денс Хаят», «Нові», «Чорноморці», «Рожаниця», «Делікейт» та фіналіст «Х-фактору» Сергій Гладир.

Атмосфера любові, дружби та підтримки, яка панувала на фестивалі, ще раз дала змогу побачити, що Україну та Грузію пов'язує справжня дружба.



Дружба, яка сподіваємось у майбутньому буде такою ж сильною, адже українській та грузинській народи добре знають ціну свободи і миру.



საქართველოს ზამთრის კურორტები

ЗИМОВІ КУРОРТИ ГРУЗІЇ



საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მთიანი რეგიონია (ტერიტორიის 2/3 მთიანია). ნებისმიერი მოგზაური თუ ტურისტის განცვიფრებული დარჩება აქაური გარემოთი, კულტურული მონაპოვრითა და ტრადიციებით. მკვიდრი მოსახლეობა არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ საკმაოდ ტრადიციული და სტუმართმოყვარე. აქ დიდი დიდი გალენა აქვს რელიგიას, ქართველები ამაყობენ უძველესი ტაძრებით, სამონასტრო კომპლექსებითა და შუა საუკუნეების კოშკებით, რომლებიც, თავისთავად, კულტურის უტყუარ ძეგლებს წარმოადგენენ.

გუდაური საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტია, რომელიც უამრავ ტურისტს სტუმრობს. თბილისიდან 2 საათის სავალზე და ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე, შესანიშნავი სასტუმროები და 16 კმ საერთო სიგრძის შესანიშნავი სასრიალო ტრასები დახვდება დამსვენებელს. უმაღლესი მწვერვალი, საიდანაც თანამედროვე სათხილამურო ტრასა იწყება 3270 მეტრისაა (მთა კუდებზე). გუდაური დამსვენებლებს სთავაზობს სხვადასხვა ექსტრემალურ სპორტის სახეობებსაც, როგორიცაა: პარაპლანით ფრენა, Snowkiting, Speeddriving და ა.შ. სასტუმროები ერთნაირად

Грузия - один з гірських регіонів (2/3 території є гористі). Будь-який мандрівник чи турист буде здивований місцевими краєвидами, а культуролог досягненнями та традиціями. Місцеве населення не таке вже багаточисельне, але досить традиційне та гостинне. Тут дуже впливовою є релігія, грузини пишаються найдавнішими храмами, монастирськими комплексами та середньовічними баштами, які, звісно, є беззаперечними пам'ятниками культури.

Гудаурі один з найпопулярніших та прославлених гірськолижних курортів Грузії, який відвідує безліч туристів. Відпочиваючих зустрінуть чудові готелі та відмінні лижні траси 16 км. завдовжки на відстані 2 годин їзди з Тбілісі та на висоті 220 метрів над рівнем моря. Найвищий пік, з якого починається сучасна лижна траса має висоту 3270 метрів (гора Кудебзе). Гудаурі пропонує відпочиваючим різні екстремальні види спорту, якими є: політ на параплані, Snowkiting, Speeddriving тощо. Готелі однаково зацікавлять відпочиваючих як з середнім, так і з високим

დაინტერესებთ, როგორც საშუალო ბიუჯეტიან, ასევე მაღალ ბიუჯეტიან დამსვენებლებს, თავისი SPA ცენტრებითა და სპორტული ბაზებით.

ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს პატარა დაბა, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 2600 ადამიანია. მესტია ისტორიულად და კულტურულად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადგილია, შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობებით. აქ შემონახულია ძველი სვანური სახლები და საცხოვრებელი კომპლექსები, სადაც ძველ თავდაცვით კოშკებსაც შეხვდებით. ისინი სვანური კოშკის სახელწოდებითაა ცნობილი. აქ ჩამოსული ტურისტები, უშბასა და თეთნულდის ხილვისას სახტად რჩებიან არნახული სიდიადის მნახველნი. ამ ადგილების ტურისტული პოტენციალი ყოველწლიურად იზრდება, შენდება სხვადასხვა მოცულობის ახალი სასტუმროები, ხოლო ძველ ნაგებობებს კი რესტავრაცია უკეთდება.

საქართველოს მარგალიტად მაინც თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე ბაკურიანი ითვლება. ბაკურიანი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ერთ-ერთ შესაძლო ადგილად მოიაზრებოდა. აქ, ნებისმიერი გემოვნებისა და შესაძლებლობის დამსვენებელი შესაფერის სასტუმროს



იზოვის. შშვენიერი სათხილამურო ტრასები და ტრამპლინები, მაღალი დონის სასტუმროები თავისი SPA ცენტრებითა და ქართულ-ევროპული რესტორნებით. ბაკურიანიდან სულ რაღაც 30 წუთის გზაზე მდებარეობს საყოველთაოდ ცნობილი კურორტი ბორჯომი, სადაც ყველასთვის კარგად ცნობილი მინერალური წყალი „ბორჯომი“ ამოდის.

გიორგი მაქსცარია



бюджетом, разом зі своїми SPA центрами та спортивними базами.

На висоті 1500 метрів над рівнем моря знаходиться маленьке селище, численність населення якого налічує всього 2600 чоловік. Местія історично та культурно одне з найбагатших місць, середньорічними, світськими, культовими та

оборонними будівлями. Тут збереглися старовинні сванські будинки та житлові комплекси, де ви зустрінете й оборонні башти. Вони відомі своєю назвою Сванська башта. Туристи, що приїжджають в Ушба та Тентулді залишаються вражені побачивши їх небачену велич. Туристичний потенціал цих місць зростає щорічно, будуються готелі різного об'єму, а старі будівлі реставруються.

Перлиною Грузії все ж таки вважається Бакуріані, що знаходиться на північному схилі хребта Тріалеті. Бакуріані вважався одним з можливих місць проведення Зимових Олімпійських ігор 2014 року. Тут, відпочиваючий з будь-яким смаком та можливостями знайде відповідний готель. Відмінні лижні

траси та трампліни, готелі високого рівня зі своїми SPA центрами та грузинсько-європейськими ресторанами. На відстані всього 30 хвилин їзди знаходиться широко відомий курорт Боржомі, де піднімається відома всім мінеральна вода Боржомі.

Георгій Макацарія

კივი - ქუთაისი - ბავშვობა КИЇВ - КУТАЇСІ - ДИТИНСТВО

როცა ავტობუსის სარგლიდან ძველი კინოფირის კადრებივით ამოტივტივდება დასავლეთ საქართველოს სოფლის სახლები, უზადო კიბეებითა და ნატიფი აივნებით, ხან ხელმარკვნივ, ხან ხელმარცხნივ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, —რომელი, რომელს სჯობნისო? — მოგზაურის გული იწყებს აჩქარებულად ფეთქვას. არა აქვს მნიშვნელობა, პირველად ხარ საქართველოში თუ მერამდენეჯერ — გზა ქუთაისის აეროპორტიდან გადავიშლით მკლავებს, თითქოს განიშნებენ, —მოგზაურობა დაიწყო, — და არაერთხელ გაგვმირავეთ ზომიერი, სადღაც ასკეტური, მაგრამ აბსოლუტურად ხალასი სილამაზითა და გულუხვობით.

მრავალი ჩვენგანისთვის მოგზაურობა საქართველოში — ესაა საშუალება ბავშვობაში დაბრუნებისა. ამ ქვეყანაში გძინავს, როგორც მივიწყებულ ჟამს, უბრალო საოჯახო ლოგინზე, პატარა კერძო სასტუმროს მყუდრო ოთახში. იღვიძებ მამლების ყივილზე და ძაღლების ყეფაში. აქავემოვნებ ყველს, მურაბას სორციან ღვეზელს, მომზადებულს მზრუნველი დიასახლისის მიერ სასაუზმოდ, თუ სავახშმოდ, რომელიც გადადის დილის 5 საათისთვის საუზმეში, როცა შენი რეისი გადაიღო



დღელამის მესამედით. როგორც ბავშვი აჭყაპუნებ ფეხებს მარტივლის კანიონების ცივ ანკარა წყალში (კიდევ კარგი, რომ უკვე დიდი ვარ, თორემ დედარჩემი ბავშვობაში ამაზე კარგადაც გამციცხავდა).

განციფრებს მოულოდნელად აღმართული მთის კედელი, მონეტურთმებული, როგორც თეატრალური დეკორაცია, მოთქროვილი ფარდით, ბუმბერაზი ხეები დადიანთა ასკეტურ, თუმცა ამავე დროს

Коли за вікном автобуса починають зринати, як кадри старої кіноплівки, сільські будинки Західної Грузії, з обов'язковими ефектними сходами до витонченого балкону то ліворуч, то праворуч, неначе сперечаючись один з одним, хто з них краший, серце мандрівника починає битися частіше. Немає значення, вперше ти в Грузії чи вже вкотре — дорога з Кутаїського аеропорту розкриває свої обійми, підказуючи: мандрівка нарешті починається й не один раз вразить пронизливістю стриманої, почасти навіть аскетичної, але абсолютно непідробної краси та ширості.

Для багатьох із нас подорож до Грузії — це можливість втекти назад до дитинства. Адже в цій країні спиш, як у давно забуті часи, на простому ліжку по-домашньому затишної кімнати маленького приватного готелю, прокидаючись під спів півнів та дзвінкий гавкіт собак. Тут насолоджуєшся сиром, варенням і пиріжками з м'ясом, приготованими дбайливою господинею чи то на сніданок, чи то на вечерю, що переходить у сніданок о п'ятій ранку, коли твій рейс затримали на третину доби. Як дитина хлюпаєш босими ногами у прозорій холодній воді Мартвільських каньйонів (добре, що вже дорослий, бо мама б у дитинстві за таке висварила). Дивуєшся несподіваній стіні гір, обрамленій, неначе театральні декорації золотавою завісою, величезними деревами в аскетичній, але від того ще прекраснішій літній резиденції князів Дадіані — Салхіно. І застигаєш у широму захваті перед храмами Мцхета, полишивши весь свій цинізм і балуваність «досвідченого мандрівника», постаючи перед ними тим, ким ти є насправді — великою дитиною з відкритим серцем.

Здається, саме з таким підходом та настроєм облаштовували й оновлений Батумі, куди цього разу вирушила наша група шанувальників Грузії. Барвисті будинки в стилі лялькового театру — для дівчат, хай-текові хмарочоси — для хлопчиків, колесо огляду та



უმშვენიერეს, საზაფხულო რეზიდენციაში, სალხინოში. დაგავიწყდება რა შენი ცინიკურობა და ნებიერობა „გამოცდილი მოგზაურისა“, გაოგნდები ალტაცებისაგან მცხეთის ტაძრების წინაშე და დარჩები იმად, რაც ხარ სინამდვილეში — დიდი გულღია ბავშვი.

ეტყობა, სწორედ ასეთი მიდგომითა და განწყობით მოაწესრიგეს განახლებული ბათუმი, საითაც გაეშურა საქართველოს მოტრფიალეთა ჩვენი ჯგუფი. ფერადოვანი სახლები თოჯინების თეატრის სტილში — გოგონათათვის, ჰაი-ტექური ცათამბკვნები — ყმაწვილთათვის, ეშმაკის ბორბალი და შეუდარებელი საბავირო გზა — ყველასათვის, ვინც კი მზადაა ჩაყვინთოს ბავშვობაში და აიწიოს ღრუბლების სიმაღლეზე. განთქმული დიზაინერული ქმნილებებიც კი ბათუმის სანაპიროზე აღიქმება არა როგორც „გახმაურებული საქალაქო ბრენდი“, არამედ როგორც შესხენება ყველა ჩვენგანს იმაზე, რომ გვსურს მხოლოდ ერთი რამ: გავგაჩნდეს სიყვარული და თუნდაც მცირეოდენი გაგება.

შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს ჰაი-ტექური დახორავება უზომოდ, ვინმე შეწუხდეს დაუმთავრებელი მშენებლობების სიმრავლით, ვინმემ მოისურვოს პლაჟის ზოგი მონაკვეთის უკეთესად მოწყობა. მაგრამ გაიფიქრებინა თუ არა ზღვის მარილითადასუბტროპიკული სურნელებით, გავგახსენდება, რომ ბათუმი — ესაა ბავშვობის ქალაქი. ვუსურვოთ მას ზრდა, განვითარება, დაგაჟკაცება ისე, რომ არ დაკარგოს თავისი ბავშვურ-ყმაწვილური დარდიმანდული სული.

იმათთვის, ვინც ისწრაფვის შეიგრძნოს თავისუფლების ქართული სული, ღირს წასვლა მთიან აჭარაში, თავისი ენერგეტიკული ჩანჩქერებით, მობიბინე ბალახით, კონკიანი ხიდებით, იმდენად ძველი, რომ გეგონება ისინი ინარჩუნებენ მთას თავისი სტუმართმოყვარე ფერმერული მეურნეობებით, რომლებიც ნელნელა ითვისებენ მწვანე ტურიზმის სფეროს. ცხადია, უნდა იყო მზად ღვინოს ნაკადისათვის, რომელიც მოსჩქეფს აქ ქართული სიუხვით და რომელსაც სიხარულით ეწაფებიან ჯანსაღი ცხოვრების მოტრფიალენიც კი საღამოობით, აჭარული სუფრის ჭამნიკით.

ქართული სოფლის გაცნობის შემდეგ ფეხებს თავისით მიჰყავხართ დედაქალაქში ეთნოგრაფიული მუზეუმისაკენ ღია ცის ქვეშ, რადგანაც გინდება ისევ და ისევ შეეხო ოსტატთა საჭრეთლითა და დროის წარმავლობით დამუშავებულ ხეს, რომელიც სუნთქავს ასწლეულობით შთანთქმული მზის სითბოთი. ახლახან განახლებული ეს მუზეუმი დიდად

неймовірна канатна дорога — для всіх, хто готовий поринути в дитинство, піднявшись на висоту хмар. Навіть знамениті дизайнерські скульптури на батумській набережній сприймаєш не як «розкручений бренд міста», а як щире нагадування, що всім нам, насправді, потрібно лише одне: аби нас любили й хоч трохи розуміли.

Можливо, комусь нагромадження хай-теку видаватиметься надмірним, когось засмутить велика кількість недобудованих будинків, комусь хотілося б ліпшої облаштованості деяких ділянок пляжу. Але, просякнувшись морською сіллю й духмяною атмосферою субтропіків, згадаймо, що Батумі — це місто дитинства, і побажаймо йому зростати, розвиватися й дорослішати фізично, не втрачаючи свого дитячо-юнацького

відчайдушного запалу.

Тим же, хто прагне відчутти прадавній грузинський дух свободи, варто відправитися до гірської Аджарії, з її енергетичними струнами-водоспадами, буйною зеленню, арочними мостами, настільки старими, що вони, здається, утримують гори, їх гостинними фермерськими господарствами, які потроху починають освоювати сферу зеленого туризму. Звичайно ж, треба бути готовим і до потоків вина, яке тут розливають із грузинською щедрістю, і до якого навіть найпалкіші прихильники здорового способу життя радо припадають під смакоти аджарського застілля свіжого гірського



вечора.

Після знайомства із сільською Грузією навіть у її столиці ноги самі несуть до Етнографічного музею під відкритим небом — бо хочеться знову й знову торкатися різьбленого майстрами й плином часу дерева, яке дихає теплом сонця, увібраного за кілька століть. Нещодавно оновлений, цей музей значно менший за територією від київського Пирогова, але неймовірно затишний і цікавий: господиня кожної хати тут не лише наглядкача,



საქართველო საქართველო

#2 (17) 2014

პროექტის ავტორი: Автор проекту
ბესიკ შამუგია Бесік Шамугія

რედაქტორი: Редактор:
დავით თოდუა Давид Тодуа

ნომერზე მუშაობდნენ: Над номером працювали:
სოსო ჩოჩია Сосо Чочія
ანა სორდია-კრავჩუკ Ана Сордія-Кравчук
დავით კურტანიძე Давіт Куртанідзе

თარგმანი: Переклади:
ასმატ ჩიბალაშვილი Асмаг Чібалашвілі
დავით თოდუა Давид Тодуа

დიზაინი Дизайн
და კომპიუტერული უზრუნველყოფა та комп'ютерне забезпечення
დავით კურტანიძე Давіт Куртанідзе

სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“
და ჟურნალ „საქართველოს“ რედაქცია მადლობას უხდის
უკრაინის კულტურის სამინისტროს ჟურნალის წინამდებარე
ნომრის ფინანსური მხარდაჭერისათვის

Всеукраїнське суспільне об'єднання «Георгія»
та редакція журналу «Сакартвело» висловлює
подяку Міністерству культури України за фінансову
підтримку даного номеру журналу

ჟურნალის რედაქცია მადლობას უხდის ელენა კოვტუნს
ფოტოსურათების მოწოდებისათვის

Редакція журналу висловлює вдячність
Олені Ковтун за надані фотографії



უფრო პატარაა, ვიდრე პიროგოვო კიევში, მაგრამ ძალიან საინტერესო და მყუდრო. ყოველი სახლის დიასახლისი, არა მარტო მეთვალყურეა, არამედ ნამდვილი გიდი, თავისი საქმით ხალხით გატაცებული.

როცა მოგინდება ქალაქში დაბრუნება, თბილისი გავართობს ურბანული კულტურის ყველა ღირსებით: დაწყებული მშვიდობის („ბროლის“) ხიდით, დამთავრებული სოლოლაკის ძველი სადარბაზოებით, რომლებიც თავიანთი ბზარების მიღმა ინახავენ არ-ნუვოს ნამდვილ შედეგრებს და შეუძლიათ მოგიტოვონ ბევრი რამ მრავალეროვან, ინტელექტუალურ, შემოქმედებით, ბურჟუაზიულ და არისტოკრატიულ ქალაქში, სადაც ჩქეფდა სიცოცხლე, და წასული ვნებანი, გგონია, მხოლოდ ცოტა ხნით მიიმალნენ შემოდგომის ჩამოცვენილ ფოთოლთ ქვეშ.

როგორც ოდესღაც, სკოლის არდადეგების შემდეგ, საქართველოს დედაქალაქის თითოეულ სტუმარს თან მიაქვს ამ ქალაქთან თანაზიარი საიდუმლო. იქნება ეს ძველი სახლების საყვარელი მოხატულობა მოდერნის სტილში, თუ თბილისის ბოტანიკური ბაღი კუთხეებისა, მოგონება იმისა, თუ რა მშვიდად და უზრუნველად ისვენებდი გოგირდის თბილ აბანოებში — შენი და თბილისის საზიარო საიდუმლო გაიძულე კვლავ და კვლავ დაბრუნდეთ საქართველოში, შინ, ბავშვობაში.

ვარვარა ჟლუკტენკო

ა ი სპравжній екскурсовод, щиро захоплений своєю справою.

Коли ж виникає бажання повернутися до міста, Тбілісі може потішити всіма гранями урбаністичної культури: від сучасного «кришталевого» мосту Миру до старих під'їздів району Сололак, які за своїми тріщинами ховають справжні шедеври ар-нуво і можуть так багато розказати про багатонаціональне, інтелектуальне, мистецьке, буржуазне та аристократичне місто, де вирувало життя, а минулі пристрасті, здається, лише ненадовго сховалися під осіннім опалим листям.

Як колись, після шкільних канікул, кожен із гостей грузинської столиці обов'язково забирає з собою свою власну таємницю, одну на двох із цим містом. Чи то улюблений розпис старих будинків стилю модерн, чи закапелок тбіліського ботанічного саду, чи спогад про те, як спокійно й безтурботно відпочивати в теплій ванні сірчаных бань... Ваша спільна таємниця з Тбілісі змусить знову і знову повертатися до Грузії, додому, в дитинство. Варвара Жлуктенко

